# ბორჯომი

17 ნოემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№47 (9257)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


# ბაკურიანის აღმშენებლობის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს!

## დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა

**სსიპ** „ბაკურიანის განვითარების სააგენტომ“ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გამართა, რომლის მიზანი ბაკურიანის განვითარების სააგენტოს, როგორც კეთილსაიმედო ადგილობრივი პარტნიორის პოზიციონირებაა რეგიონში. შეხვედრა ოფიციალური მისასალმებელი სიტყვით გახსნეს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარემ **ეკა ორჯონიკიძემ,** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ **მზია გიორგობიანმა,** მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა **სებასტიან მოლინეუსმა** და სამცხე-ჯავახეთის რწმუნებულის ოფისის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **გიორგი მიქელაძემ.**

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო რამდონორთა ქმედებების კოორდინირების საკითხი ბაკურიანის განვითარების პერსპექტივებთან მიმართებაში, ასევე, საკითხების გადასაჭრელად ქმედითი ნაბიჯები შეათანხმეს.

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტომ“, რომელიც ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მიმდინარე პოლიტიკის განხორციელების პირველი უპრეცედენტო მაგალითია ქვეყნის მასშტაბით, გადადგა პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ამ შეხვედრის ორგანიზებით.

დონორთა საკოორდინაციო შეხვედრამ წარმატებით შეასრულა თავისი მისია და თანამშრომლობის მდგრადი საფუძველი შექმნა ბაკურიანის განვითარების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ღონისძიებას ესწრებოდნენ:

USAID - ამერიკის შეერთებული შტატე-



დენიმე პრეზენტაცია არსებული გამოწვევებისა და განვითარების პოტენციური პროექტების შესახებ, რომელიც ბაკურიანის ოთხი სეზონის კურორტად გადაქცევას ისახავს მიზნად. საკოორდინაციო შეხვედრის დასასრულს მონაწილე დონორმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს სააგენტოს მხარდაჭერის სურვილი დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში. დონორი ორგანიზაციების უმეტესობა შეხვედრაზე წინასწარ მომზადებული კონკრეტული შემოთავაზებებით ჩამოვიდა. შეხვედრაზე განიხილეს სინერგიისა და ბის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

გაეროს განვითარების პროგრამა.

World Bank - მსოფლიო ბანკი.

SDC - შვეიცარიის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო.

- საფრანგეთის განვითარების სააგენტო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია მერსი ქორფსი (Mercy Corps)

ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები.

## თურქეთის დელეგაცია – ბაკურიანში



**სსიპ** – „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ საპასუხო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ერზერუმის მერიისა და ტურიზმის სამსახურების წარმომადგენლები ესტუმრნენ. ჩამოსულ დელეგაციას ბორჯომის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ **ეკატერინე ორჯონიკიძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებმა უმასპინძლეს.

შეხვედრაზე მხარეებმა დაბა ბაკურიანის, როგორც სამთო კურორტის განვითარების პერსპექტივებზე, მის სპორტულ პოტენციალზე ამ კუთხით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს, შეხვედრის დასასრულს ორივე მხარე ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და აქტიურ ფაზაში გადასვლაზე შეთანხმდნენ.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები ბორჯომის №1 ჩამომსხმელ ქარხანას ესტუმრნენ, სადაც მსოფლიოში ცნობილი ბრენდის „ბორჯომის“ წარმოების პროცესს გაეცნენ.

დელეგაციის წარმომადგენლები ბაკურიანში, ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენს კობა წაქაძეს ესტუმრნენ, სადაც მასპინძლობა თავად სპორტსმენმა გაუწია, დაათვალიერებინა სახლ-მუზეუმი და მისი მიღწევები გაანცო.

ჩამოსულმა სტუმრებმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს ბორჯომ-ბაკურიანის ღირსშესანიშნაობები და ახალციხეში რაბათის ციხე.

## უახლოეს წლებში ბაკურიანი მსოფლიოს საუკეთესო სამთო-სათხილამურო კურორტთა შორის დაიმკვიდრებს საპატიო ადგილს!



**ბაკურიანის განვითარების სააგენტო არცთუ ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით და რეალურად, ქმედით ღონისძიებებს ანხორციელებს 2022 წლის დასაწყისიდან დღემდე.**

**სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“ ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მიმდინარე პოლიტიკის განხორციელების პირველი უპრეცედენტო მაგალითია ქვეყნის მასშტაბით, რომელიც დგამს პირველ ნაბიჯებს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.**

**სააგენტოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის სახელმწიფოსგან მიღებულმა სუბსიდიამ 2186791 ლარი შეადგინა. აქედან 6 ნოემბრისათვის გახარჯულია 1280803 ლარი, დანარჩენი თანხა წლის ბოლომდე იქნება ათვისებული.**

**მიმდინარე წელს მომსახურებიდან შემოსულია 40917 ლარი, აქედან გეგმით გაწერილია 19500 ლარი, ხოლო გადასახადიდან ამოღებულია 11896 ლარი. საკუთარი შემოსავლებიდან ასათვისებელია 16517 ლარი.**

**რედაქცია დაუკავშირდა ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დირექტორს, ქალბატონ ეკა ორჯონიკიძეს და ესაუბრა სააგენტოს განვითარების მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებზე. გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ეკა ორჯონიკიძესთან.**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## საინფორმაციო შეხვედრა მოსახლეობასთან

**9 ნოემბერს, კინოთეატრ „დიდველის“ დარბაზში ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ ეკატერინე ორჯონიკიძემ ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.**

**შეხვედრაზე მოქალაქეებს სააგენტოს თანამშრომლებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 23 სექტემბერს №85 დადგენილებით დამტკიცებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის (ყოფნის) დებულება გააცნეს და გაავრცელეს საინფორმაციო ბროშურები.**

**აღნიშნული დებულება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის დაბა ბაკურიანისა და დიდი მიტარბის ტერიტორიაზე გავრცელდება.**

**დებულების მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტის და ბაკურიანის იერსახის გაუმჯობესება, საზოგადოებრივ სივრცეებში სისუფთავისა და მწვანე ნარგავების დაცვა.**

**დებულების მიხედვით აკრძალულია პირუტყვის ყოლა-ყოფნა შემდეგ ტერიტორიებზე (როგორც უმეთვალყურეოდ, ისე მეთვალყურეობის ქვეშ): პარკში, ბაღში, სკვერში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; ცენტრალურ საავტომობილო გზაზე და მის მიმდებარე ტროტუარებზე. გამონაკლისს წარმოადგენენ ექსკრემენტებისათვის განკუთვნილი ბიოდეგრადირებადი პარკებით აღჭურვილი ცხენის გადაადგილება. ასევე ცენტრალურ საავტომობილო გზაზე და მის მიმდებარე ტროტუარებზე პირუტყვის გადაადგილება მათი გადაყვანის-გადარეკვის მიზნით მეთვალყურეობის ქვეშ. პირუტყვის მეპატრონე ვალდებულია აკრძალულ ტერიტორიაზე არ ჰყავდეს პირუტყვი როგორც უმეთვალყურეოდ, ასევე მეთვალყურეობის ქვეშ; პარკში, ბაღში, სკვერში, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე და მის მიმდებარე ტროტუარებზე ცხენით გადაადგილებისას უზრუნველყოს მისი, ცხოველების ექსკრემენტებისათვის განკუთვნილი ბიოდეგრადირებადი პარკით აღჭურვა.**



**პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.**

**დადგენილების შესრულებას მონიტორინგს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის და სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ზედამხედველობის სამსახურები გაუწევენ.**

**შეხვედრაზე ასევე განხილული იყო მიმდინარე სამუშაოები ბაკურიანში და ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებული სიახლეები.**

**შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.**

ნომრის სპონსორია ბაკურიანის განვითარების სააგენტო (დირექტორი ეკა ორჯონიკიძე)

# უახლოეს წლებში ბაკურიანი მსოფლიოს საუკეთესო სამთო-სათხილამურო კურორტთა შორის დაიმკვიდრებს საპატიო ადგილს!

(გაგრძელება)

**– ქალბატონო ეკა, ურთულეს სამსახურს ჩაუდექით სათავეში, რით დაიწყო ბაკურიანის აღმშენებლობა, ვისი ხელშეწყობის და თანადგომის იმედი გაქვთ?**

– ბაკურიანის განვითარების სააგენტოს გაცნობიერებული აქვს თავისი მისია და ისწრაფვის დასახული მიზნების მისაღწევად. მას მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, დონორი ორგანიზაციები და ადგილობრივი კერძო სექტორი. იმ საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ბაკურიანში, მნიშვნელოვანია ამ მხარეების პარტნიორული, მიზანმიმართული, ერთობლივი მხარდაჭერა ბაკურიანის განვითარების პროექტების დასაგეგმად და განსახორციელებლად.

ბაკურიანს გააჩნია გენერალური გეგმა (სივრცითი მოწყობის გეგმა), რომელიც ითვალისწინებს დაბის სივრცით განვითარებას, რაც სრულიად ეთანხმება ბაკურიანის განვითარების სააგენტოს მისიას და ხედვას. სამწუხაროდ, ბაკურიანს დღემდე არ აქვს კურორტის განვითარების გეგმა ანუ თუ როგორ უნდა განვითარდეს კურორტი, ახლა ამ გეგმის შედგენაზე ვმუშაობთ.

სააგენტო, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი თანადგომით, ცდილობს ხელი შეუწყოს ბაკურიანის განვითარებას - გააუმჯობესოს ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოს სათანადო სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდება, იზრუნოს ბაკურიანის სუფთა, გამწვანებულ, მოწესრიგებულ და თანამედროვე იერსახეზე, თუმცა ამ სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა დამატებითი თანადაფინანსება დონორების მხრიდან.

ბაკურიანის განვითარების სააგენტოს კოლექტივი, რომლის წევრებიც იკავებენ მნიშვნელოვან პოზიციებს სააგენტოს სხვადასხვა სამსახურებში, წარმოადგენს ერთიან, შეკრულ მექანიზმს, რომელსაც გააჩნია საკმარისი ადამიანური, პროფესიული და საზედამხედველო რესურსი საჭირო თანადაფინანსების მოპოვების შემთხვევაში წარმატებით განახორციელოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები.

მეტად საპასუხისმგებლო ამოცანების ორგანიზებულად დაწყებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. უპირველესად შეიქმნა ადმინისტრაციული, ზედამხედველობის, არქიტექტურის, დასუფთავებისა და ტრანსპორტის. ყველა სამსახურს განესაზღვრა დებულებით განსაზღვრული მოვალეობები.

ქმედითი ღონისძიებები განხორციელდა შესაბამისი სამსახურების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის.

**– კარგად გვესმის, დიდი საქმის დაწყება რთულია, რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2022 წლიდან დღემდე?**

– შესაძლოა, არსებობდეს მოსაზრება, რომ ბაკურიანი, როგორც ცნობილი კურორტი, ნამდვილად არ საჭიროებს რაიმე დამატებით დახმარებას, რადგან აქ დამსვენებელთა, ტურისტებისა და ვიზიტორების ხარჯზე სეზონური



შემოსავლები მაღალია. სამწუხაროდ, ეს მითია და სინამდვილეში საკმაოდ სავალალო სურათს ვაწყდებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბაკურიანი ზამთრის და ზაფხულის სეზონზე, რაც დაახლოებით თვენახევრიდან ორ თვემდე მერყეობს, მასპინძლობს ათასობით ადგილობრივ და უცხოელ ტურისტს და დამსვენებელს, გარდა ამისა, არცთუ იშვიათად, რესპუბლიკური, საერთაშორისო და მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებს და ჩემპიონატებს ატარებს ზამთრის სპორტულ სახეობებში, მწვავედ დგას მისი, როგორც მაღალმთიანი დასახლების მდგრადი განვითარების საჭიროება.

დღევანდელი მდგომარეობით სააგენტო ახორციელებს სამთავრობო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს, მათ შორის:

**დაწყებულია ბაკურიანის სკოლის შენობის სრული აღდგენა-რეაბილიტაცია და აღჭურვა;**

**საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა-აღჭურვა და მიმდებარე ეზოს რეაბილიტაცია;**

**ბაკურიანის ცენტრალური პარკის განახლება-კეთილმოწყობა, მათ შორის არსებული სამოყვარულო საციგურაო ყინულის მოედნის რეაბილიტაცია;**

**გარე ვაჭრობის რეგულაციების შესაბამისად ახალი ჯიხურების მოწყობა;**

**ბაკურიანის ცენტრის და მიმდებარე ქუჩების კეთილმოწყობა – ახალი ღობეების დამონტაჟება, შენობების სახურავების და შენობის ფასადების რეკონსტრუქცია.**

მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების მიზანმიმართული გამოყენება ბაკურიანის იერსახის განახლებას და გათანამედროვეობას მოხმარდება, ბაკურიანის თემის მწვავე და აქტუალური საკითხების მოგვარებასთან ერთად, რომელთა შორის უნდა გამოიყოს პრიორიტეტული წყალარინების სისტემის მოწყობის და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფის საკითხი, რისთვისაც უკვე გამოყოფილია სამთავრობო დაფინანსება.

**– რას გულისხმობს სააგენტოს გრძელვადიანი პროგრამა?**

– ჩვენი ზრუნვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს - ბაკურიანი გადავაქციოთ 4 სეზონის კურორტად: გამართული ინფრასტრუქტურით, ხარისხიანი სერვისებით, კეთილმოწყობილი გზებით, თანამედროვე ლამაზი ღობეებით კეთილმოწყობილი, საფეხმავლო ბილიკებით, თანამედროვე ჯიხურებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული მომსახურებით, სისუფთავით, სიმწვანით, განახლებული პარკებითა და სპორტული და საციგურაო მოედნებით, სპორტსკოლებით - ზამთრის სპორტის და არამხოლოდ, სახეობებში ბავშვებისა და ახალგაზრდების მოსამზადებლად მსოფლიო და საერთაშორისო ჩემპიონატებისთვის, რეგულირებული მშენებლობებითა და უძრავი ქონების რეგისტრაციის მონიტორინგით, რეაბილიტირებული „კუკუშკით“ - რითიც ცნობილი იყო ბაკურიანი უკვე 120 წლის მანძილზე, ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილებით და სხვა.

სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულ თანხვედრაშია ბაკურიანის სივრცითი განვითარების გენერალური გეგმის შესაბამის საკითხებთან. სამოქმედო გეგმა მოიცავს იმ პროექტებს, ქმედებებს და საქმიანობას, რომელთა განხორციელებითაც სააგენტო შეასრულებს თავის მისიას. სააგენტოს აქვს საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც, საქმიანობის მასშტაბურობიდან გამომდინარე, შესაძლოა ვერ აღმოჩნდეს საკმარისი პრობლემების ბოლომდე აღმოსაფხვრელად და საერთო სურათის შესაცვლელად. ამიტომ, სააგენტო გეგმავს მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დონორ ორგანიზაციებთან, საელჩოებთან, საერთაშირისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ფირმებთან, ბიზნესმენებთან და ადგილობრივ თემებთან. პირველი ნაბიჯი ამ მიზნით უკვე გადაიდგა. 2022 წლის 4 ნოემბერს ბაკურიანში დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართება, სადაც გაჟღერდება ბაკურიანის განვითარების სამომავლო პერსპექტივები და ჩატარდება პრეზენტაციები კონკრეტული პოტენციური პროექტების თაობაზე.

ეს შეხვედრა იყო სტიმული, რათა სააგენტო შეეჭიდოს უფრო მასშტაბურ პროექტებს და წარმატებული საქმიანობა განახორციელოს ბაკურიანსა და მის შემოგარენში, სრულად აითვისოს ბაკურიანის მდგრადი განვითარების პოტენციალი.

**– თქვენი სამოქმედო გეგმა სასშტაბურია და მოსაწონია, რა პრობლემის წინაშეა სააგენტო და როგორ აპირებთ მათ განხორციელებას?**

– დღევანდელი მდგომარეობით, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს წინაშე დგას მთელი რიგი პრობლემები, რომელთა უმეტესობა დაუყოვნებლივ საჭიროებს გადაწყვეტას.



**ბაკურიანის 4 სეზონის კურორტად გადასაქცევად საჭიროა:**

ინვესტიციების მოზიდვა სხვადასხვა სფეროს განსავითარებლად; ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები, საფეხმავლო ბილიკები, მშენებლობები) მოვლა-პატრონობა-დასუფთავების განხორციელება და მონიტორინგი გაზრდილი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მიწისქვეშა საკომუნიკაციო ხაზების მოწესრიგების და საჰაერო კომუნიკაციების მიწისქვეშა განთავსების მონიტორინგი;

მყარი ნარჩენების ეფექტური მართვა;

გარე ვაჭრობის რეგულირება გარე რეკლამის ადმინისტრირება;

მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის კანონით გათვალისწინებული მოვლა-პატრონობის ნორმების დაცვის მონიტორინგი;

ბაკურიანის წყალარინების სისტემის გამართული მუშაობის მონიტორინგი; სამედიცინო ცენტრის თანამედროვე აპარატურით აღჭურვა (დონორის თანადაფინანსებით);

საგანმანათლებლო და კულტურული სივრცეების მოწყობა/ხელოვნების სკოლა;

სპორტული ბაზა-სკოლისა და სპორტული მოედნების მოწყობა; ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია (ილიაუნის ჩართულობითა და დონორის თანადაფინანსებით);

ბაკურიანის და მიმდებარე ტერიტორიებზე ტყის საფარის მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა;

ბაკურიანის და მისი შემოგარენის ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისება; ბაკურიანის ე.წ. წრიულის ტერიტორიის პროექტირება და მისი ათვისება მხოლოდ საპარკინგე, კვების ობიექტების, ტურისტული ატრაქციებისა და სპორტული სივრცეებისთვის;

ბორჯომ-ბაკურიანის ცნობილი ისტორიული სარკინიგზო გზის ე.წ. „კუკუშკის“ აღდგენა-რეაბილიტაცია (რკინიგზის დეპარტამენტის ჩართულობით. საფრანგეთის საელჩოს და დონორის თანადაფინანსებით);

სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციის გაუმჯობესება;

უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა;

სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს როგორც ახალ, დამოუკიდებელ, უფლებამოსილ სტრუქტურულ ადმინისტრაციულ ორგანოს, გააჩნია მკაფიო ხედვა და საკმარისი რესურსი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად.

**წარმატებებს გისურვებთ დიდი პროგრამის შესრულებაში.**

**ესაუბრა ვალერიან ლომიძე**

## ბაკურიანის მომავალი კონტურები გამოიკვეთა



**ბაკურიანის,** როგორც კურორტის პოპულარობა ბევრ დამსვენებელს იზიდავს, როგორც უცხოელს ასევე ადგილობრივებს. კურორტს სტუმრობენ სამთო თხილამურების მოყვარულები და ადამიანები, რომლებსაც ჰაერის გამოცვლა სჭირდებათ. თუმცა ბაკურიანის საკურორტო ინფრასტრუქტურა ქაოტურად ვითარდებოდა და დიდი ხანია ველარ უმკლავდება სტუმრების ყოველწლიურ ზრდას. განაშენიანება, კომუნიკაციები, მანქანების დიდი რაოდენობა - **როდის მოგვარდება ეს ძირითადი პრობლემები ბაკურიანში?**

არასეზონზე ქუჩები საცობებისაგან თავისუფალია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანქანები საერთოდ არ მოძრაობენ. პირიქით, პრობლემა არასეზონზეც არსებობს ძალიან დიდი რაოდენობის მანქანების გადაადგილების გამო. სეზონურ პიკზე ამ პრობლემას კიდევ უფრო მეტად გაზრდილი მანქანების რაოდენობა და საცობები ემატება. ეს პრობლემები განსაკუთრებით ხალხის მკვეთრად მომატებასთან ერთად იჩენს თავს. ყველაფერი ეს წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა, გაიზარდა და გამოდის, რომ ბაკურიანი, როგორც კურორტი წინ კი არ მიდიოდა, არამედ უკან იხევს.

ბაკურიანის განვითარების სააგენტოს პრობლემების მოგვარების გეგმა უკვე აქვს. გზებზე მოძრაობის მოწესრიგებას საზოგადოებრივი ტრანსპორტის ჩანერგვას გულისხმობს. ზამთრის სეზონის დაწყებისთანავე, დაახლოებით 15 დეკემბრიდან ბაკურიანის ქუჩებში იმოძრავებენ ავტობუსები და იმედია, ეს განტვირთავს ქუჩებს. ე.წ ოცდახუთიანების მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ასევე ძალიან გადატვირთულია მანქანებით, იგეგმება მოძრაობის შეზღუდვა და საფეხმავლო სივრცის მოწყობა. სააგენტომ გაავრცელა გეგმა იმის შესახებ, რომ ბაკურიანის საბაგირო გზების ერთმანეთთან დაკავშირება აარიდებს ქუჩებს ავტომანქანების ზედმეტად გადაადგილებას. უკვე ნოემბრის ბოლოს დასრულდება ახალი საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს დიდველის, კოხტასა და მიტარბის სათხილამურო არეალებს.

გეგმაშია ასევე ბაკურიანის იერსახის მოწესრიგება. კერძოდ, განახლებული რეგიონების ფარგლებში დაიგეგმა ბაკურიანის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია, რომელიც მრავალ სიკეთეს პირდება ბაკურიანელებს.

არის პროექტები, რომლებიც დიდ ფინანსებს მოიცავს. მაგ. ე.წ. „კუკუშკას“, ბაკურიანის მარგალიტის, რეაბილიტაცია (სადგურების ჩათვლით), რომელიც კორონავირუსის პანდემიის შემდეგ არ ამუშავებულა. ამ შემთხვევაში დიდია დონორების დახმარების როლი და სავარაუდოდ ძვირადღირებული ბიუჯეტური პროექტები ეტაპობრივად განხორციელდება.

**რუსუდან სხირტლაძე**

### პრობლემების კვალდაკვალ

# გვიყვარდეს და ვზრუნავდეთ იმ შენობაზე, რომელშიც ვცხოვრობთ!

**ბორჯომში** არც თუ ისე ბევრი მაღალსართულიანი შენობაა. თუმცა, განვლილი წლების შემდეგ აღნიშნულ შენობებში უამრავი პრობლემები დაგროვდა. 60-70 ბინიან კორპუსებში მთლიანობაში 40-45 ოჯახი ძლივს ცხოვრობს, ზოგან უფრო ნაკლები. მოსახლეობის უმრავლესობა ან თბილისშია გადასული, ან ემიგრაციაშია, ან კიდევ გაყიდული აქვთ და აღნიშნულ ბინებში მხოლოდ ზაფხულობით თუ ჩამოდიან დასასვენებლად. რომელ კორპუსშიც არ უნდა მიხვიდეთ, ყველა ბინაში ერთნაირ პრობლემას წარმოადგენს ბინის გარეთ არსებული გაზის სისტემები. ყველა კორპუსის აყოლებაზე ობობას ქსელივით დახლართული პლასტმასის შლანგები. ყველაზე მეტად საშიში ის არის, რომ ბუნებრივი აირის მრიცხველები იმდენად დაბლაა განთავსებული, რომ ეზოში მოთამაშე ბავშვსაც კი შეუძლია მისი მწყობრიდან გამოყვანა, რაც კორპუსის არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. იმას ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული პრობლემების შესახებ მოსახლეობამ არ მიმართა შესაბამის სამსახურებს, თუმცა არსებული პრობლემის მოსაგვარებლად სხვა შედარებით უსაფრთხო ალტერნატიული სახის მასალა ჯერ არ შემოუტანიათ. აქ ძველი, საბჭოთა დროს დამონტაჟებული რკინის მილები უკვე კარგა ხანია ხმარებიდანაა ამოღებული და მოსახლეობას შიშით უწევს ღამის გათევა.

უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა წლების მანძილზე გაფუჭებული ლიფტები. თუმცა, ამ ბოლო წლების მანძილზე ბევრი მაღალსართულიანი კორპუსის უმრავლესობაში მოხდა ახლის დამონტაჟება და ძველი ლიფტების რეაბილიტაცია. მაღალსართულიანი კორპუსების უმრავლესობას წლების მანძილზე ჰყავდა საკუთარი ამხანაგობები და ამხანაგობის თავმჯდომარე. სწორედ ეს ამხანაგობები ახდენდნენ კორპუსისათვის საჭირბოროტო საკითხების ერთობლივ გადაწყვეტას და პრობლემის შესაბამის ორგანოებამდე მიტანასაც. დღეს ეს ამხანაგობები უმრავლეს ბინებში ფორმალურად არიან და ფაქტიურად, არაფერს აკეთებენ. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მაღალსართულიანი კორპუსის მიმდებარედ შეხვდებით გარშემო მიმოფანტულ ნაგავს, მიუხედავად იმისა, რომ ნაგვის ურნები ბინების სიახლოვეს ყოველთვის დგას. იმას ვერ იტყვის მოსახლეობა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი არ ზრუნავს ქუჩებისა და საცხოვრებელი სახლების სანიტარულ საკითხებზე. ბევრ კორპუსში ისევ ფუნქციონირებს ნაგვის



ბუნკერები, თუმცა არსებული ბუნკერებიდან ნაგვის გატანაც ერთი დიდი პრობლემაა. მოსახლეობას ხშირად ვერ გაუგია, რომ ნაგავსაც დახარისხება სჭირდება და რომ ყველანაირი სახის ნაგავი პირდაპირ ბუნკერში არ უნდა ჩაყაროს. წესით, არსებული ბუნკრებიდან ნაგვის გატანა დაახლოებით 10-15 წუთის ნაცვლად ნახევარ საათზე ან ცოტა მეტ ხანს გრძელდება. სამწუხაროდ, გადავსებული ნაგვის გამოტანას და მანქანაზე მოთავსებას ორჯერ მეტი დრო სჭირდება. ჰოდა, ასე „გამოღებულ-გაფრიალებულია“ - 40 წუთი ეს ნაგვის ბუნკერის კარი და ზაფხულის პერიოდში ბუზი და ათასი მწერი ეხვევა გარშემო არსებულ ტერიტორიას. უკვე გადმოყრილი ნაგვის ადგილას სადეზინფექციო სამუშაოები არ ტარდება და ხანდახან 3-4 დღე მაინც დგას არსებული ბუნკერიდან აუტანელი სუნი. მწერი კი ფაქტიურად, გამოულევლადაა.

გადაუჭრელ პრობლემათა ნუსხაში შედის უწესრიგო სადარბაზოები, სადაც არც მთავარი შესასვლელი კარია და აქაურობა არც დიდი სისუფთავით არ გამოირჩევა. ეს კი უპირველესად თვით მაცხოვრებელთა დაუდევრობის და ამხანაგობის თავმჯდომარეების უპასუხიმგებლობის შედეგია.

წელიწადის ნებისმიერ დროს ამოვარდნილი ქარისაგან პირველ სართულზე ნაგავი ყრია, მერე ამ ნაგავს არც მოსახლეობა აკლებს ხელს, პირიქით ამატებს. მე პირადად ლიკანში ვცხოვრობ ე.წ. პურკომბინატის ბინაში და ერთ წელიწადზე მეტია არ მინახავს, რომ რომელიმე გულისხმიერ და ჰიგიენის მოყვარულ მეზობელს მიეხედოს მონარჩენი საკვების, სხვადასხვა სახის ქაღალდებისა და ნარჩენების გაწმენდისათვის. მე და ჩემმა მეუღლემ ვითავეთ რამდენჯერმე არსებული ადგილის დასუფთავება და თავს ვალდებულადაც ვთვლით, რომ ასე მოვიქცეთ, მაგრამ რამდენიმე დღეში ისევ ანალოგიურ მდგომარეობაში გვხვდება. თუმცა, როგორც საღად მოაზროვნე ადამიანს ერთი კითხვა მიჩნდება, აღნიშნული ბინები 38 წელიწადზე მეტია რაც აშენდა და მაინტერესებს, ეს ხალხი ერთმანეთის ჯიბრით რატომ ცხოვრობს? რატომ არ ზრუნავენ თავიანთი საცხოვრისის კეთილმოსაწყობად? სხვა დასკვნის გამოტანა არც შემიძლია, რადგანაც იმას ვამბობ, რასაც რეალურად ვხედავ. ჯერ აივნიდან რომ გადაიხედავთ უამრავი სიგარეტის ნამწვითაა სკვერი სავსე. სკვერში მდგარ ურნებს დასუფთავების სამსახური ასუფთავებს და სკვერის ძირითადი ტერიტორიაც იგვება, თუმცა ეს ნამწვავები ისეთ ადგილებში ყრია, რომ ნამდვილად არ უნდა ეყაროს და მაპატიეთ და მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური ამ ნამწვავების დასაგველად თავის თანამშრომლებს ყოველდღიურად ნამდვილად ვერ გამოაგზავნის. სოციალურ ქსელშიც ხშირად არის გადაცემები გარემოს დაცვით საკითხებზე, ბევრი აქციებიც ტარდება ამ მიმართულებით, თუმცა პრაქტიკულ დონეზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ყოველივეს არ იყენებს საზოგადოება. რეკლამირებისთვის და ვითომ „თავის გამოჩენისათვის“ არ უნდა გააკეთო ადამიანმა არაფერი. „აი, მე გარემოს ერთგული დამცველი ვარო“, „აი, მე ხეს ვრგავო“, „აი, მე ჩემი ბინის წინ სკვერი დავასუფთავეო“. სწორედ ამაშია საქმე, რომ დღემდე სუსტია საზოგადოების სამოქალაქო პასუხიმგებლობა, მშობლიური ქალაქისადმი სიყვარული. საკუთარისა და საზოგადოებრივის ცნება ვერ გაურკვევიათ. სწორედ კერძო საკუთრებიდან იწყება იმ საზოგადოებრივისათვის პატივისცემა, რომელიც ერთობლივად, ერთიანი ძალებით საბოლოოდ დიდი შედეგის მომტანია. თუკი საზოგადოების თითოეული წევრი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს საკუთარივით მიიღებს, ნამდვილად არ იქნება ჩემო ბატონები ამდენი უწესრიგო სადარბაზო, ამდენი დანაგვიანებული სკვერი და ა.შ.

წლებია ჯერ კიდევ მიდის საუბარი ნარჩენების სეპარირების საკითხზე, რომელიც ვერ გადაწყვეტილა საბოლოოდ, მაგრამ ესეც საკუთარი ძალებით შეგვიძლია განვახორციელოთ. ჩვენვე დავახარისხოთ საკუთარი ნაგავი. საჭმლის ნარჩენებს ჩვეულებრივ პლასტმასის ნარჩენებთან ერთად ნუ ჩავყრით, ან უკვე ჩვენთვის გამოუსადეგარ ავეჯს, სამოსსა და ფეხსაცმელს პირდაპირ ურნაში ნუ ჩაუძახებთ. იქვე გვერდით დადეთ და ვისაც უჭირს ის აიღებს. ევროპას და ამერიკას რომ ვედრებით, იქ სწორედ ასეა, ისინი სწორედ ასე იქცევიან. სამოსს ხომ საერთოდაც ტაძრებში ტოვებენ და გაჭირვებულებს მიაქვთ. ეს ხომ დიდი მადლია ადამიანებისა და უფლის წინაშე. განა რთულია ეს ყოველივე, ყოველდღიურ რუტინად ვაქციოთ??? თუმცა, ის უფრო ადვილი არაა, რომ სხვა დავადანაშაულოთ, ვიდრე შეცდომა საკუთარ თავში ვეძებოთ!!!

**ნატო მელიქიძე**

# სიზმარად ნანახი ახალდაბის მომავალი

**ძვირფასო რედაქციავ!**

გაზეთ „ბორჯომის“ 8 სექტემბერს (№36) გამოქვეყნებულ წერილში სათაურით „ახალდაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის“ გაცნობის შემდეგ ზღაპრული განცდა დამეუფლა. კარგი ნათქვამია „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“ და სტატიაში ჩამოყალიბებული იდეების განხორციელების იმედით ჩამეძინა, სიზმარში ჩემს თვალწინ ცხადად გაირბინეს კადრებმა. წინ დამიდგა ახალდაბაში გათვალისწინებული პროექტების ნუსხა, ვიფიქრე, ნეტავ თუ მოვესწრები მათ განხორციელებას.

აი ჩემი სიზმარიც.

- ახალდაბიდან ბორჯომის ხეობაში მიმავალ ავტობუსში მოხერხებულ სავარძლებში განცხრომით ჩავჯექი. ტურისტებს გიდი უყვება:
- ჩვენ მივყვებით ბორჯომის ხეობას. ახალდაბიდან ბორჯომის ცენტრამდე, სადაც უნდა გავჩერდეთ, კიდევ 12 კილომეტრია. მარცხნივ მდინარე მტკვრის მეორე ნაპირზე ახალდაბაში, ბულვარის უკან კულტურისა და დასვენების პარკია, რომელიც სილამაზით არ ჩამოუვარდება ბორჯომის ისტორიულ პარკს. მის უკან 50 მეტრის მოშორებით მთის ფერდობზე თავს იწონებს ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო, სახელწოდებით „ბორჯომის კარიბჭე“. პარკში 50 მეტრიანი საცურაო აუზი, რესტორანი და საკონცერტო დარბაზია. დაბა განვითარებულია სიგანეშიც, გააჩნია ოჯახური სასტუმროებიც. მოშორებით ბალნეოლოგიური კურორტიცაა, პირველი დასახელება აქ გაჩენილა 33 საუკუნის წინათ. მრავლადაა ისტორიული ძეგლები, ასევე წინა წლებში ახალდაბელების მიერ შემოწირულობებით აგებული ეკლესია-მონასტრები.

ახლა სადილის დროა, სამანქანო ხიდით გადავალთ ახალდაბაში და პარკის რესტორანში თქვენთვის სადილია მომზადებული, იქ ერთი საათი გავჩერდებით, თუ აქაურობა მოგეწონებათ, დავრეკავ და გავარკვევ თქვენი დისლოკაციის ადგილმდებარეობის შეცვლის შესაძლებლობას. ბორჯომის სასტუმროში მოგვიანებით გველოდებიან. სადილის შემდეგ 1 საათი დაგეგმილია ახალდაბის გასაცნობად. თუ აქ გავჩერდებით, მომდევნო დღეებში აქედანვე მდინარე ნეძურას ხეობა-



ში გამავალ გზატკეცილიდან ავალთ ბაკურიანში, წრიული გზით დავბრუნდებით ბორჯომში. გზადაგზა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დავათვალიერებთ საინტერესო ადგილებს. გზაზე დაგეგმილია ვისადილოთ რომელიმე დასახელების რესტორანში, შემდეგ გავაგრძელებთ ექსკურსიას და საღამოს დავბრუნდებით უკან სასტუმრო „ბორჯომის კარიბჭეში“. ვახშამი სასტუმროს რესტორანში გექნებათ თუ ბორჯომში გადაწყვეტთ გაჩერებას, იქაც მეოთხე კლასის სასტუმროა.

თუ ბორჯომში მოინდომებთ გაჩერებას, აქაც ექსკურსია ჩაგიტარდებათ.

სადილის შემდეგ გრძელდება ექსკურსია. გიდი აგრძელებს მოყოლას.

ახალდაბის დასახლება შედარებით სწორ რელიეფზეა გაშენიანებული. საავტომობილო გზები მოასფალტირებულია, დასვენებისათვის სკვერებიცაა. თუ დაიღლებით და ვარჯიში მოგინდებათ, შეგიძლიათ ამ გზებზე ან პარკის ხეივნებში ივარჯიშოთ. აქ შეხვდებით ყველა ასაკის ადამიანებს.

ახალდაბაში სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობებია, ფეხბურთისა და რაგბის სტადიონი მაყურებელთა ტრიბუნებით, ღია საჭიდაო არენა, მათ სიახლოვეს ოთხვარსკვლავიანი სასტუმროცაა სპორტული ახალდაბა“. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სპორტული გუნდები სავარჯიშო პერიოდს აქ ატარებენ, ხოლო საქართველოს სპორტული ფედერაციისათვის ახალდაბა საუკეთესო სავარჯიშო და დასასვენებელი ადგილია. ამ უბანში მრავლადაა მცირე ტევადობის ოჯახური სასტუმროები, სადაც ცხოვრების, დასვენების და ვარჯიშისათვის უფრო მშვიდი გარემოა.

აქვე 400 მეტრში გოგირდის წყლების აბანოა. მას სისტემატიურად სტუმრობენ სპორტსმენები. ყველა ოჯახს გააჩნია ცხელი წყალი და აბაზანა. ეს აბანო მათთვისაც პოპულარობით სარგებლობს. ორი კილომეტრის მოშორებით მდინარე ნეძურას ნაპირზე გოგირდის ცხელი წყლების ბაზაზე სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტია მეოთხე კლასის სასტუმროთი და სამედიცინო მომსახურების კლინიკით. ოჯახებით ჩამოსული ტურისტები სასტუმროს ნაცვლად მის სიახლოვეს აგებულ კომფორტულ ერთ ან ორ სართულიან კოტეჯებში ბინადრობას ამჯობინებენ. სიზმარში ნანახმა კარგ ხასიათზე გამომაღვიძა.

დავიბადე და ვცხოვრობ ახალდაბაში. ჩვენი სახლი ფეხბურთის სტადიონსა და სპორტულ მოედანს შორისაა, მიმდებარედ ერთი მხრიდან საჯარო სკოლაა, მეორე მხრიდან - საბავშვო ბაღი. ზამთარ-ზაფხულ ჩვენს გარშემო სულ ჟრიამულია. სკოლის ტერიტორიაზე კალათბურთის მოედანზე ხშირად სპორტული შეჯიბრებებიც ტარდება. ჩემი უბანი ნამდვილად სპორტული ახალდაბაა და ხშირადაც ვფიქრობ, მის კეთილმოწყობას მეტი ყურადღება დაეთმოს, მსოფლიოში ცნობილი სპორტულმა გუნდებმა აქ ჩაატარონ ტურნირების წინა სავარჯიშო შეკრებები. ყველა ფედერაციას შეუძლია აქ თავისი სპორტული ბაზების შექმნა. ახალდაბა ზღვის დონიდან 730-750 მეტრ ნიშნულებზეა. თვალწარმტაცი ბუნება, გოგირდის ცხელი წყლები, მოწესრიგებული გზები და ყველაფერი რაც სიზმარში ვნახე და ცხადში ახდება ეს დიდი სიკეთე იქნება ახალდაბელებისათვის. ექსპლოატაცია და მართვა ახალდაბელებსაც შეუძლიათ, აქედან წასულები ბაკურიანის, ბორჯომისა და უცხოეთის სასტუმროებში მუშაობენ, უცხო ენებსაც ფლობენ და ნოსტალგია მათაც დააბრუნებდა სამშობლოში. ეს მათი ოცნებაცაა.

მართლაც მჯერა ოცნებების ასრულებისა. ვიმედოვნებ, ათ-ოცდაათიოდე წლის შემდეგ ნაოცნებარ ბორჯომის ახალდაბაში ვიცხოვრებთ.

**პატივისცემით ახალდაბელი**
**ნატო ძიმერიძე**

**(ინდმეწარმე)**

## ვულოცავთ!

ბაკურიანის საშუალო სკოლის 1961 წლის კურსდამთავრებულები: **კიმი ბერიძე, მერი წაქაძე, ანგელინა ვახტანგიშვილი, ნელი ომიაძე, იზა ქოქოშვილი, გულნარა ქევხიშვილი, ნელი გელაშვილი, ნელი დვალი** საყვარელ მასწავლებელს და კლასის ხელმძღვანელს **აკაკი ედიშერაშვილს** დაბადების 90 წლის იუბილეს ულოცავენ, უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

### პოეზია

## მე დავლოცავ!

მე დავლოცავ, სადგრის მკვიდრებს,
ვინც სოფლისთვის დოვლათს ქმნიდა,
ვინც სოფელი დაამკვიდრა,
ალბათ ახლა უკვე სძინავს...
ხარ-კამეჩით, ამ ტაძრისთვის
ამ ციხისთვის ლოდი ზიდა,
რწმენა ჩვენი ერისათვის
ღმერთმა ჩადო, ღმერთი გზრდიდა.
ღვთისმშობელმა თავის კალთა
ჩვენ ქვეყნისთვის გადმოფინა,
ერი რომ გადაერჩინა,
მტრის შიში არ დაამკვიდრა...
ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის,
სადგრის დედა შვილებს ზრდიდა,
ერთმანეთის სიყვარული,
პირველ რიგში რწმენა გვქმნიდა...
და გალავნის შიგნით ლოდი
ისე მკვრივად, მაგრად იდგა,
„დედა-ქეთევანმა“ მასზე
რწმენისათვის ჯვარი ზიდა...
და აღმართა სადგრისათვის
ამით დიდი ღვაწლი იდგა,
ჩვენი ქვეყნის სადიდებლად
სადგრის ციხე ისევ გზრდიდა...

**ნათელა ტაბატაძე**

## გაიმართა მინი-ფეხბურთის ჩემპიონატი



**ბორჯომში,** წარმოება-დაწესებულებებს შორის, მინი ფეხბურთის ჩემპიონატის გამარჯვებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საფეხბურთო გუნდი გახდა.

ტურნირის ჩემპიონს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო, 900 ლარის ოდენობით გადაეცა.

გამარჯვებული გუნდები თასებით და მედლებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **მამუკა ლურსმანაშვილმა** და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **მამუკა ხითარიშვილმა** დააჯილდოვეს.

II ადგილზე №2 ჩამომსხმელი ქარხნის გუნდი, III ადგილზე კი №1 ჩამომსხმელი ქარხნის საფეხბურთო გუნდი გავიდა. ბორჯომის მერიამ მეორე ადგილის მფლობელი გუნდი - 600, მესამე ადგილზე გასული გუნდი კი 300 ლარით დააჯილდოვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ წარმოება-დაწესებულებებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატში 9 გუნდი მონაწილეობდა.

## ახალგაზრდა ძიუდოისტების ტრადიციული ტურნირი



**ბორჯომში** ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის ტრადიციული ტურნირი გაიმართა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღეს 2009-2010 და 2011-2012 წლებში დაბადებულმა 600-მდე სპორტსმენმა. ოც წონით კატეგორიაში ერთმანეთს კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის, სამეგრელოს, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და იმერეთის წარმომადგენელი გუნდების წევრები ეჯიბრებოდნენ.

გამარჯვებული სპორტსმენები საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნიკოლოზ კიკნაძემ,** კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **მამუკა ლურსმანაშვილმა,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარემ **ლევან თედიაშვილმა,** მოადგილემ **მამუკა ხითარიშვილმა,** საკრებულოს დეპუტატებმა **ანზორ სვანიძემ** და **დავით შონიამ** მედლებით სიგელებითა და თასით დააჯილდოვეს.

შეჯიბრება ბორჯომის სასპორტო სკოლისა და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული.

## შეხვედრა წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და მერიის სხვადასხვა სამსახურის უფროსები, იტალიის საგანგებო სიტუაციებისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

საინფორმაციო შეხვედრაზე, საგანგებო სიტუაციებისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ბორჯომის მერის წარმომადგენლებს გააცნეს თუ როგორ თანამშრომლობენ საქართველოში სხვადასხვა უწყებები საგანგებო სიტუაციების დროს და როგორია თითოეული უწყების როლი და ფუნქციები მსგავსი შემთხვევების მართვისას.

PPRD ევროკავშირის ტექნიკური ექსპერტული დახმარების პროექტია, რომლის მთავარი ამოცანა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე რეაგირებისა და მზადყოფნის დონის ამაღლებაა.

## პროექტი – არავინ დარჩეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიღმა



**დაავადებათა** კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ჯანმრთელობის კომუნიკაციის ექსპერტ-სპეციალისტებმა **მარინა თოფურიძემ** და **მაია შინშიაშვილმა** გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - არავინ დარჩეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიღმა „Leaving no-one behind in access to public health სერვიცეს ფარგლებში ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს.

ტრენინგს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **მანანა რატიანი,** საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები, სოფლის ექიმები, მერის წარმომადგენლები და საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ.

შეხვედრა მიეძღვნა მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდისა და მობილიზაციის კამპანიების სტრატეგიულ დაგეგმარებას, განხილული იქნა მოზრდილთა და ბავშვთა ვაქცინაციის ადგილობრივი გამოწვევები, პოტენციური გადაჭრის გზები და დასახული იქნა შემდგომი კოორდინირებული თანამშრომლობის გეგმა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2023 წლიდან, წამლებზე რეფერენტული ფასები დაწესდება - სახელმწიფო ღირებულების იმ მაქსიმალურ ზღვარს ადგენს, რომელზე ძვირადაც დაუშვებელი იქნება მედიკამენტის რეალიზაცია, რაც მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. რეფორმის მიზანი ხარისხიანი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამართლიანი ფასებისა და კონკურენტული და გამჭვირვალე ფარმაცევტული ბაზრის უზრუნველყოფაა. წინასწარი გათვლებით, რეფერენტული ფასების დაწესება, საშუალოდ, 40%-ით გააიაფებს წამლების ღირებულებას.

პირველ ეტაპზე, რეფერენტული ფასები, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დაწესდება, ეტაპობრივად კი ფასების რეგულირების მექანიზმი სხვა ჯგუფის მედიკამენტებზეც გავრცელდება.

## დავით გელაშვილის გახსენება



**გავიდა ავადსახსენებელი 40 დღე, 10 ოქტომბერი, რომელიც შენთვის საბედისწერო აღმოჩნდა. 60 წელი შენთვის ძალიან ხანმოკლე იყო. ჩვენი ბედნიერი ოჯახი ერთ წუთში გაუბედურდა. მზიანი დღეები ცრემლების წვიმებად გვექცა. ღმერთო ჩემო, როგორ კვტკივა, ის მომავალი, რომელიც უშენოდ რომ უნდა გაგრძელდეს. როგორ უნდა გადავიტანოთ უშენობა. რამდენი მოგონება, იუმორი და სიყვარული დაგვიტოვე. როგორ შეგეძლო ამდენი სიკეთის კეთება, ყველას გვერდში დგომა. გვაპატიე, რომ ვერ გიშველეთ და მედიცინაც უძლური აღმოჩნდა. შენ ხომ იმედს მაინც არ კარგავდი. ბოლომდე იბრძოდი. მადლობა ყველაფრისათვის. გწამდეს, ყოველთვის ვიამაყებთ შენით. იძინე ტკბილად ჩვენო ჭკვიანო, სპეტაკო მეოჯახე ვაჟკაცო. უფალმა დაგიმკვიდროს ცატა სასუფეველი.**

**შენი გამწარებული ოჯახი და დები.**

## დავით ნოზაძის გამოსათხოვარი



**მართლაც, ღირსეული და კარგი პროფესიონალი გახლდათ ბატონი დავით ნოზაძე.**

**კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ხალხური გამონათქვამის სისწორეში - „სიკვდილსაც კარგი უნდა“! კარგი?! ეს სიტყვა ცოტაა შენთვის, ჩემო ერთგულო მეგობარო, შენ იყავი საუკეთესო ადამიანი, საუკეთესო კოლეგა, საუკეთესო პროფესიონალი, საუკეთესო მოსამართლე, საუკეთესო მრჩეველი და ასეთად დარჩები მუდამ ყველა ღირსეული ადამიანის მეხსიერებაში. ვაი, მას, ვინც არ შეგიცნო, არ დაგაფასა, გული გატკინა, „გატეხვა“ მოგინდომა, უფალი ყველას მოკითხავს ადრე თუ გვიან, შენ კი - დარწმუნებული ვარ, უფლის სასუფეველში დამკვიდრდები, რამეთუ იქ მხოლოდ „მართალნი განისვენებენ“. ცრემლი მახრჩობს და სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, ჩემო დათო, მადლობა იმ წლებისთვის, რაც გიცნობდი, მადლობა ღირსეული ადამიანობის ყველა გაკვეთილისთვის, რასაც არაერთხელ დამასწარი. ძალიან ვწუხვარ, რომ შენ აღარ იქნები ამ წუთისოფელში.**

**სოფიკო ხეთაგაშვილი**

**ნინოშვილის ქუჩის №1 საცხოვრებელი სახლის (ტრესტის ბინის) მაცხოვრებლები და უახლოესი მეგობარი ჯუმბერ ხუჯაკაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი მეზობელი**

**სულიკო წეველიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



**დავით გოგიჩაიშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოხატავს მძახლის, ბორჯომის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარისა და საოლქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლის**

**დავით ნოზაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს, უსურვებენ ამ დიდი ტკივილის დათმენას და გამძლეობას.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე